მსესხებელი: საქართველო
პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია:
სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
პროექტის სახელი და ნომერი: ელექტროენერგიის
მიწოდების საიმედოობისა და ფინანსური გაჯანსაღების
პროექტი, P169117

# გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმა (ESCP)

20 მარტი, 2019 წელი

**მსესხებელი: საქართველოს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია: სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა**
**გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმა**

1. საქართველო გეგმავს *ელექტროენერგიის მიწოდების საიმედოობისა და ფინანსური გაჯანსაღების პროექტის* ***(პროექტი)*** განხორციელებას სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე) მეშვეობით, საქართველსო ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაწილეობით. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (ბანკი) თანახმაა უზრუნველყოს პროექტის დაფინანსება.

2. *საქართველოს* განახორციელებს მატერიალურ ზომებს და ქმედებებს, პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების (***ESSs***) შესაბამისად. გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმა (***ESCP***) მოიცავს მატერიალური ზომების და ქმედებების მოკლე რეზიუმეს.

3. გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმა (ESCP) მოითხოვს შემდეგი დოკუმენტების დებულებების შესაბამისობას:

- *ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) ანგარიში;*
- *განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი (RPF);*
- *შრომის მართვის პროცედურა (LMP); და*
- *დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა (SEP).*

4. ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია მოთხოვნილი მატერიალური ზომები და ქმედებები და ასევე მათი შესრულების ვადები. საქართველო პასუხისმგებელია შეასრულოს გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმის (ESCP) ყველა მოთხოვნა იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონკრეტულ ზომებს და ქმედებებს ახორციელებს ზემოთ 1-ელ პუნქტში მითითებული სამინისტროები.

5. გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმაში (ESCP) მითითებული ზომების და ქმედებების განხორციელებას მეთვალყურეობას გაუწევს და ზემოაღნიშნულ ბანკს ანგარიშს წარუდგენს საქართველო, როგორც მოითხოვს ESCP და იურიდიული ხელშეკრულების პირობები, და ბანკი მეთვალყურეობას გაუწევს და შეაფასებს მატერიალური ზომების და ქმედებების მიმდინარეობას და დასრულებას პროექტის განხორციელების პროცესში.

6. აღნიშნული ბანკის და საქართველოს შორის შეთანხმების შესაბამისად, პროექტის განხორციელების პროცესში პერიოდულად გადაიხედება წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმა (ESCP), პროექტში განხორციელებული ცვლილებების ადაპტიური მართვის და გაუთვალისწინებელი გარემოებების ან ESCP მიხედვით წარმოებული პროექტის განხორციელების ეფექტურობის შეფასებაზე რეაგირების ასახვის მიზნით. ასეთ შემთხვევებში, საქართველო აღნიშნულ ცვლილებებს შეათანხმებს ბანკთან და შეასწორებს გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმას (ESCP) აღნიშნული ცვლილებების ასახვის მიზნით. გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმაში (ESCP) ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმება უნდა გაფორმდეს დოკუმენტურად ბანკსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი წერილების გაცვლის მეშვეობით. საქართველო

დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებს შესწორებულ გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმას (ESCP). პროექტიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმაში (ESCP) ასევე შეიძლება მიეთითოს ნებისმიერი ზომის ან ქმედების დასრულებსითვის საჭირო დაფინანსების საკითხი.

7. თუ პროექტის ცვლილებები, გაუთვალისწინებელი გარემოებები ან პროექტის განხორციელების ეფექტურობა გამოიწვევს ცვლილებებს რისკებსა და ზემოქმედებებში პროექტის განხორციელების პროცესში, საქართველომ უნდა უზრუნველყოს დამატებითი სახსრები (საჭიროების შემთხვევაში) იმ რისკებისა და ზემოქმედებების აღმოსაფხვრელად კონკრეტული ზომებისა და ქმედებების განხორციელებისთვის, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს და ზემოქმედებებს.

**ელექტროენერგიის მიწოდების საიმედოობის და ფინანსური გაჯანსაღების პროექტი**
**გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმა**
**20 მარტი, 2019 წელი**

| | *პროექტის პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედებების შერბილების მატერიალური ზომებისა და ქმედებების შეჯამება* | *ვადა* | *პასუხისმგებლობა / უფლებამოსილება და რესურსები /დაფინანსება* | *დასრულების თარიღი* |
|---|---|---|---|---|
| **ESCP მონიტორინგი და ანგარიშგება** | | | | |
| | რეგულარული ანგარიშგება:<br>ESCP -ს განხორციელების შესახებ რეგულარული მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და წარდგენა. | ექვს თვეში ერთხელ პროექტის განხორციელების პერიოდში | სსე. მონაცემები შეგროვდება კონსულტანტებისგან, კონტრაქტორ(ებ)ისგ ან, მშენებლობის ზედამხედველობის ინჟინერისგან, სამინისტროებიდან და სხვა . | 12/2024 |
| | ინციდენტების და უბედური შემთხვევების შეტყობინება:<br>ბანკის ინფორმირება ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების შესახებ, რომლებიც გამოწვეულია პროექტის განხორციელებით ან ზემოქმედებას ახდენს პროექტის განხორციელებაზე, და რომელიც ახდენს ან შესაძლოა მოახდინოს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება მუშახელზე, მოსახლეობაზე, საზოგადოებაზე ან ბუნებრივ გარემოზე. | დაუყოვნებლივ ინციდენტის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმირების შემდეგ, თუმცა დადგომიდან არაუგვიანეს ორი კალენდარული დღისა. | სსე | 12/2024 |
| **შემაჯამებელი შეფასება** | | | | |

| ESS 1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების შეფასება და მართვა | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.1 | ორგანიზაციული სტრუქტურა: დეტალური, ვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით, გარემოსადაცვითო და სოციალური მართვის სისტემის (ESMS) შექმნისთვის, მინიმუმ საერთო კონცეფციასთან, ორგანიზაციულ სტრუქტურასთან, ინსტიტუციურ პროცედურებთან და საკადრო განრიგთან ერთად, და აღნიშნული ESMS სისტემის დასრულების, გამჟღავნების, ექსპლუატაციის და მომსახურების მიზნით, სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული ვადების შესაბამისად. | სამოქმედო გეგმის შემუშავება პროექტის განხორციელების ეფექტურობამდე. ESMS ექსპლუატაცია - პროექტის განხორციელების ვადის დასაწყისში და არაუგვიანეს სამშენებლო სამუშაოების დაწყებისა ან IBRD გარანტიის უზრუნველყოფისა. ESMS ტექ. მომსახურება - პროექტის განხორციელების მთლიან ვადაში. | სსე | 09/2019 (სამოქმედო გეგმა)<br>03/2020 (ESMS განხორციელება)<br>12/2024 (ESMS მომსახურება) |
| | გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების დეპარტამენტის შექმნა / რეორგანიზაცია, მკაფიო პასუხისმგებლობებით პროექტის ESIA (ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება) ანგარიშში, RPF, SEP, ESMPs და RAPs, და LMP-ში მითითებული ყველა ვალდებულების განხორციელებაზე, ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით. | პროექტის ეფექტურობამდე | სსე | 09/2019 |
| | საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის შექმნა სათაო ოფისებში და პროექტის დასრულებამდე ხუთი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მუნიციპალიტეტიდან | პროექტის ეფექტურობამდე | სსე | 09/2019 (CLOs (საზოგადოებასთან ურთიერთობის |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | თითოეულში ერთი საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის არსებობა. | | | სპეციალისტები) დაკომპლექტება) 12/2024 (CLOs დაკომპლექტება და შენარჩუნება) |
| | მინიმუმ ერთი სრულ განაკვეთზე მომუშავე უფროსი გარემოსდაცვითი სპეციალისტის და ერთი სრულ განაკვეთზე მომუშავე უფროსი სოციალური საკითხების სპეციალისტის მოწვევა და დაქირავება, ბანკისთვის მისაღები ტექნიკური დავალებებით (TORs) და ESMS -ში განსაზღვრული საკადრო განრიგის შესაბამისად. | პერსონალის დაკომპლექტება - პროექტის ეფექტურობამდე და შენახვა - პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში | სსე | 09/2019 (E&S სპეციალისტების დაკომპლექტება) 12/2024 (E&S სპეციალისტების მოწვევაა) |
| 1.2 | **გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება:** გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების დასრულება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედებების დადგენის და შეფასების და სათანადო შერბილების ზომების შემუშავების მიზნით. | ESIA ანგარიშის და RPF წარდგენა და გამოქვეყნება პროექტის ეფექტურობამდე | სსე | 09/2019 |
| 1.3 | **მართვის საშუალებები და ინსტრუმენტები:** ადგილიდან გამომდინარე განსახლების სამოქმედო გეგმ(ებ)ის (RAPs) შემუშავება და განხორციელება პროექტის RPF-ს შესაბამისად. | სამუშაოების დაწყებამდე | სსე | 03/2020 |
| | შემკვეთის ESMP-ს დასრულება, მისი გამოქვეყნება და სატენდერო დოკუმენტებში შეტანა პროექტის ინფრასტრუქტურის დაპროექტებისა და მშენებლობასთან დაკავშირებით. | სამუშაოების ტენდერის ჩატარებამდე | სსე | 04/2019 |
| | დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის (SEP) შემუშავების დასრულება და გამოქვეყნება. | პროექტის ეფექტურობამდე | სსე | 09/2019 |
| 1.4 | **კონტრაქტორების მართვა:** იმის უზრუნველყოფა, რომ სამშენებლო სამუშაოების ყველა კონტრაქტორმა შეიმუშაოს C-ESMP, მათ შორის ნარჩენების მართვის დეტალური გეგმა, ლანდშაფტის | სამუშაოების დაწყებამდე | სსე | 03/2020 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | აღდგენის გეგმა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების გეგმა (რომელიც ეხება მოსახლეობასთან ურთიერთობის მართვას), ჯნადაცვისა და უსაფრთხოების გეგმა და კონტრაქტორის შორმის დაცვის პროცედურა (C-LMP), ასევე ჯანდაცვისა და შორმის უსაფრთხოების ზომები ზედამხედველობის ინჟინრისთვის, სსე-თვის და ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით. | | | |
| 1.5 | ნებართვა, თანხმობები და უფლებამოსილებები : შესაბამისი ადგილობრივი ორგანოებისგან პროექტთან დაკავშირებით ნებართვების, თანხმობების და უფლებების მოპოვება ან დახმარების გაწევა აღნიშნულის მოპოვებაში. | პროექტის განხორციელების მთლიან ვადაში | სსე | 12/2024 |
| 1.6 | მესამე მხარის მონიტორინგი: მშენებლობის პერიოდში დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის კონსულტანტის დაქირავება. | კონტრაქტორ(ებ)ის დანიშვნის შემდეგ, კონტრაქტის განხორციელების პერიოდში და არაუგვიანეს სამშენებლო სამუშაოების დაწყებისა. | სსე | 03/2020 |
| **ESS 2: შრომის და სამუშაო პირობები** | | | | |
| 2.1 | შრომის მართვის პროცედურა: ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით შრომის მართვის პროცედურის, მათ შორის სსე-ს თანამშრომელთა საჩივრების განხილვის მექანიზმის შემუშავება და ამოქმედება. | დოკუმენტის დასრულება - პროექტის ეფექტურობამდე. პროცედურის ამოქმედება – პროექტის განხორციელების | სსე | 09/2020 (LMP დასრულება)<br>12/2024 (LMP განხორციელება და მონიტორინგი) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მთლიან პერიოდში. | | |
| | ბანკის მიერ დასამტკიცებლად სამშენებლო სამუშაოების კონტარქტორ(ებ)ის შრომის მართვის პროცედურის (C-LMP) წარდგენა და კონტრაქტორ(ებ)ის მიერ C-LMP -ს შესრულების უზრუნველყოფა. | წარდგენა - კონტრაქტის ხელმოწერიდან და ძალაში შესვლიდან ორი თვის განმავლობაში - პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | სსე | 10/2019 (C-LMP წარდგენა)<br>12/2024 (C-LMP მონიტორინგი) |
| 2.2 | **საჩივრების განხილვის მექანიზმი პროექტში დასაქმებული პირებისთვის**:<br>საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) შემუშავება და შექმნა პროექტში დასაქმებული პირებისთვის, LMP -ს ფარგლებში.<br><br>იმის უზრუნველყოფა, რომ კონტრაქტორ(ებ)მა შეიმუშაონ საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM), თავიანთი თანამშრომლებისთვის, C-LMP-ს შესაბამისად. | პროექტის ეფექტურობამდე<br><br>წარდგენა - კონტრაქტის ხელმოწერიდან და ძალაში შესვლიდან ორი თვის განმავლობაში - პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | სსე | 09/2019 |
| 2.3 | **OHS ზომები**:<br>ჯანდაცვისა და შრომსი უსაფრთხოების (OHS) ზომების განხორციელება მოქმედი კანონისა და სსე-ს შიდა რეგულაციების, ESS2, და მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის სახელმძღვანელოს (EHSGs) შესაბამისად, სსე-ს LMP-ს ფარგლებში. | პროექტის ეფექტურობამდე და პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | სსე | 12/2024 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | იმის უზრუნველყოფა, რომ კონტრაქტორ(ებ)მა განახორციელონ OHS ზომები, რომელიც დეტალურად მოცემულია C-LMP-ში. | პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | სსე | 12/2024 |
| 2.4 | პროექტში მომუშავე პირების ტრენინგი: მოთხოვნა კონტრაქტორის მიმართ უზრუნველყოსს კონტრაქტით მომუსავე პირების ტრენინგი, მათი კონტრაქტით გათვალისიწნებული უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით. | მინიმუმ ერთხელ წელიწადში, პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | სსე | 12/2024 |
| **ESS 3: რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა** | | | | |
| 3.1 | ნარჩენებისა და საშიში მასალების მართვა: სარეველებთან ბრძოლისთვის, ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ან ექსპლუატაციის პერიოდში პესტიციდების არგამოყენების ვალდებულების შესრულება. | პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | სსე | 12/2024 |
| | მოთხოვნა კონტრაქტორ(ებ)ის მიმართ წარადგინოს ნარჩენების მართვის გეგმა დეტალურ ღონისძიებებთან ერთად ყველა ტიპის ნარჩენის ადგილზე შენახვასთან და საბოლოოდ მოცილებასთან დაკავშირებით, სსე-თვის, ზედამხედველი ინჟინრისთვის და ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით და მათი განხორციელება. | წარდგენა - კონტრაქტის ხელმოწერიდან და ძალაში შესვლიდან ორი თვის განმავლობაში - პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | სსე | 12/2024 |
| **ESS 4: მოსახლეობის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება** | | | | |
| 4.1 | საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება: სამშენებლო სამუშაოების სატენდერო დოკუმენტებში მოთხოვნის შეტანა პრეტენდენტების მიმართ წარადგინონ მართვის სტრატეგიები და განხორციელების გეგმები (MSIP) გარემოს, სოციალური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების (ESHS) რისკების აღმოსაფხვრელად და ESHS ქცევის | გარემოსდაცვითი საკითხის შეტანა - სამუშაოების ტენდერამდე და აღსრულებამდე – პროექტის | სსე | 12/2024 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კოდექსი და მოთხოვნა კონტრაქტორ(ებ)მა იმოქმედონ აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე. | განხორციელების მთლიან პერიოდში. | | |
| | მოთხოვნა კონტრაქტორ(ებ)მა ზედამხედველობის ინჟინრისთვის და სსე-თვის დამაკმაყოფილებელი ფორმით შეიმუშაონ და შეასრულონ სამუშაოებსი წარმოების პროექტი საგზაო მოძრაობის მართვასთან დაკავშირებით. | სამუშაოების დაწყებამდე | სსე | 03/2020 |
| 4.2 | მოსახლეობის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება:<br>იმის უზრუნველყოფა, რომ კონტრაქტორ(ებ)მა შეიმუშაოს და განახორციელოს მოსახლეობის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გეგმა (მოსახლეობის ურთიერთობის მართვასთან დაკავშირებით) საპროექტო საქმიანობების, მათ შორის პროექტში დასაქმებულ პირებთან და მუშახელის ნაკადებთან დაკავშირებული სამუშაოების შედეგად მოსახლეობაზე კონკრეტული რისკების და ზემოქმედებების მართვისთვის. | ზომების შემუშავება – კონტრაქტის ხელმოწერიდან ორი თვის განმავლობაში და განხორციელება პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | სსე | 12/2024 |
| | პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თითოეულ თემში ინფორმირებულობის ამაღლების კამპანიების ჩატარება ელექტრო-მაგნიტური ველების რისკების შესახებ. | პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | სსე | 12/2024 |
| | იმის უზრუნველყოფა, რომ კონტარქტორ(ებ)მა აამაღლონ თანამშრომლების ინფორმირებულობა ადგილობრივ მოსახლეობაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკების და მათი შერბილების ზომების შესახებ. | პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | სსე | 12/2024 |
| 4.3 | GBV და SEA რისკები:<br>კვალიფიციური ექსპერტის მობილიზება გენდერული ძალადობის საკითხზე და ინფორმირებულობის კამპანიის ჩატარება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ | სამუშაოების დაწყებამდე | სსე | 3/2020 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | თითოეულ თემში GBV რისკებისა და არსებული მხარდაჭერის მომსახურებების შესახებ. | | | |
| 4.4 | უსაფრთხოების პერსონალი:<br>ზომების და ქმედებების შემუშავება და განხორციელება ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების და მართვის მიზნით პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებში და პროექტში დასაქმებული მუშახელისთვის, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას უსაფრთხოების პერსონალის გამოყენების შედეგად. | განვითარება - უსაფრთხოების პერსონალის ჩართვამდე და განხორციელება პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | სსე | 12/2024 |
| 4.5 | ტრენინგი მოსახლეობისთვის:<br>ინფორმირებულობის ამაღლების კამპანიების ჩატარება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თითოეულ თემში მოსახლოების ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, და მათი ინფორმირება კონტრაქტორის უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების შესაძლებლობის შესახებ. | სამუშაოების დაწყებამდე და მინიმუმ სამშენებლო პერიოდის განამვლობაში | სსე | 12/2024 |
| **ESS 5:** | **მიწის შესყიდვა, შეზღუდვები მიწის გამოყენებაზე და არანებაყოფლობითი განსახლება** | | | |
| 5.1 | მიწის შესყიდვა და განსახლება:<br>სსე განსაზღვრავს ანძების ზუსტ ადგილმდებარეობას და დაასრულებს ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანს იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული, მინიმუმამდე დაყვანილი ან კომპენსირებული ნებისმიერი ზემოქმედება მიწაზე და სხვა აქტივებზე ადგილობრივ თემში. | სამუშაოების დაწყებამდე და და შემდეგ პროექტის განხორციელების პერიოდში. | სსე | 12/2024 |
| | RPF -ში მითითებული სტანდარტული საოპერაციო პროცედურების (SOP) მკაცრი დაცვა, რომელიც შესაძლოა შესწორდეს პერიოდულად ბანკთან შეთანხმების საფუძველზე. | პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | სსე | 12/2024 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | იმის უზრუნველყოფა, რომ არ გაგრძელდეს სამუშაოები, რომლებიც გავლენას ახდენს მიწაზე ან სხვა აქტივებზე, სანამ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებზე დაზიანებული აქტივებისთვის გადახდილი არ იქნება შესაბამისი კომპენსაცია. | პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | სსე | 12/2024 |
| 5.2 | განსახლების გეგმები:<br>ობიექტთან დაკავშირებით განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) შემუშავება RPF და ESS5 შესაბამისად. | სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ელექტროგადამცემი ხაზის ინდივიდუალურ მონაკვეთებში. | სსე | 03/2020 |
| 5.3 | მონიტორინგი და ანგარიშგება:<br>RAP-ის განხორციელების დაწყებამდე სსე დანიშნავს და RAP-ის განხორციელების პროცესის განმავლობაში დაიქირავებს ადგილზე განსახლების მონიტორინგის კონსულტანტს, რომელიც წარადგენს ყოველკვარტალურ ანგარიშებს RAP-ის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ. | პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | სსე | 12/2024 |
| | RAP-ის მონაცემების მართვის საინფორმაციო სისტემის შემუშავება და განხორციელება, რომელსაც გამოიყენებს განსახლების პერსონალი და კვარტალური ანგარიშების ან დროული ანგარიშების მომზადება RAP-ის განხორციელების პროგრესის შესახებ. | შემუშავება - ეფექტურობამდე და გამოყენება - პროექტის განხორციელების პერიოდში. | სსე | 12/2024 |
| | კვალიფიციურ დამოუკიდებელ კონსულტანტთან კონტრაქტის გაფორმება RAP -ის დასრულების ანგარიშის მომზადებისთვის თითოეულ RAP-თან დაკავშირებით და ასეთ ანგარიშში რეკომენდებული გამოსწორების ზომების განხორციელება. | RAP განხორციელების დასრულების შემდეგ | სსე | 12/2024 |
| 5.4 | საჩივრების განხილვის მექანიზმი: | პროექტის ეფექტურობამდე | სსე | 09/2019 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | წლიური პროცედურების და პროცესების მომზადება საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმთან დაკავშირებით და მისი განხორციელება. | და პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | | |
| **ESS 6: ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება** | | | | |
| 6.1 | პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ზონაში ბიომრავალფეროვნების და ჰაბიტატების დამატებითი კვლევები და ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმის (BMP) შემუშავება კონტრაქტორის ინფორმირებისთვის, ბიომრავალფეროვნების და ჰაბიტატების წინა-სამშენებლო კვლევებთან დაკავშირებით. | სამუშაოების დაწყებამდე | სსე | 12/2019 |
| 6.2 | ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული რისკები და ზემოქმედებები :<br>მოთხოვნა სამუშაოების კონტრაქტორის მიმართ განახორციელოს ბიომრავალფეროვნების და ჰაბიტატების წინა-სამშენებლო კვლევები ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანში და დეტალური საპროექტო / ანძის ადგილმდებარეობების განსაზღვრა ზემოქმედებების მინიმუმამდე დაყვანის მიამრთულებით. | დასამტკიცებლად დეტალური პროექტების წარდგენამდე. | სსე | 03/2020 |
| **ESS 7: მკვიდრი მოსახლეობა / სამხრეთ საჰარის აფრიკული ქვეყნები ისტორიულად არაუზრუნველყოფილი ტრადიციული ადგილობრივი მოსახლეობა** | | | | |
| არ არის მონაცემები | | | | |
| **ESS 8: კულტურული მემკვიდრეობა** | | | | |
| 8.1 | კულტურული მემკვიდრეობა:<br>მოთხოვნა სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორების და ზედამხედველობის ინჟინრის მიმართ დაიცვან კულტურული ღირებულების მქონე ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში მოქმედების წესი, რომელიც განსაზღვრულია ESIA ანგარიშში. | პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | სსე | 12/2024 |
| **ESS 9: ფინანსური შუამავლები** | | | | |
| არ არის მონაცემები | | | | |

| **ESS 10: დაინტერესებულ პირთა ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება** | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.1 | SEP მომზადება:<br>SEP დასრულება და გამოქვეყნება. | პროექტის ეფექტურობამდე | სსე | 09/2019 |
| 10.2 | SEP განხორციელება:<br>SEP განხორციელება:. | და განხორციელება პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | სსე | 12/2024 |
| 10.3 | პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმი: GRM ამოქმედება SEP-ის შესაბამისად. | და განხორციელება პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | სსე | 12/2024 |

| შესაძლებლობების მხარდაჭერა | | |
|---|---|---|
| ტრენინგის მითითება | სამიზნე ჯგუფების და მიწოდების ვადების განსაზღვრა | ტრენინგის დასრულების მითითება |
| • დაინტერესებულ პირთა კარტოგრაფია და ჩართულობა<br>• გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კონკრეტული ასპექტები | სსე<br><br>პროექტის ეფექტურობამდე და პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | |
| ჯანდაცვა და შრომის უსაფრთხოება, მათ შორის საგანგებო სიტუაციების პრევენცია, მომზადება და რეაგირება | სსე<br>ზედამხედველობის ინჟინერი<br>კონტრაქტორ(ებ)ი<br>ადგილობრივი მთავრობა<br><br>პროექტის ეფექტურობამდე და პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | |
| საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმი | სსე-ს CLO ჯგუფი, კონტრაქტორ(ებ)ი, ზედამხედველობის ინჟინერი, ადგილობრივი მთავრობა, GRM ფარგლებში დაკისრებული კონკრეტული პასუხისმგებლობებით.<br><br>პროექტის განხორციელების მთლიან პერიოდში. | |